ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- აგვისტოში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.8% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.
- სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე ნაკლები იყო და 0.7% შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებულია საცხოვრებლის, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს, განათლების, სასტუმროების, კაფეებისა და რესტორნების ჯგუფებზე ფასების ზრდით.
- აგვისტოში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 26.9%-ით, ხოლო ხარჯები 9.5%-ით გაიზარდა.
- აგვისტოში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 46.6 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მშენებლობისა და მრეწველობის დარგებში.
- იანვარ-აგვისტოში* საქონლის ექსპორტმა 14.4%-ით, ხოლო იმპორტმა 17.8%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 14,005 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- აგვისტოში* ფულადმა გზავნილებმა 287.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 39.5%) და რუსეთი (21.0%) წარმოადგენდნენ.
- სექტემბერში მთლიანმა საერთაშორისო რეზერვებმა 5,273 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22.3%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით.
- აგვისტოში*, წინა თვესთან მიმართებით, შემცირდა დეპოზიტებსა და სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი.
- სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 0.9%-ით გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ 1.1%-ით გამყარდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

1. რეალური და ფისკალური სექტორი



აგვისტოში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 5.8%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის აგვისტოში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.8% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის აგვისტოში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] 1.4% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.





სექტემბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 0.7% შეადგინა.

წინა წლის სექტემბერთან მიმართებით, 2023 წლის სექტემბერში ინფლაციის დონე 0.7%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ საცხოვრებელზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, განათლებაზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე. სექტემბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.5%-ით განისაზღვრა. 2023 წლის აგვისტოში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 1.6% შეადგინა.



[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.



აგვისტოში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

2023 წლის აგვისტოში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 26.9%-ით, ხოლო ხარჯები 9.5%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 452.5 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 189.2 მლნ ლარით განისაზღვრა.





აგვისტოში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.

წინა წლის აგვისტოსთან მიმართებით, 2023 წლის აგვისტოში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 9.8%-ით მოიმატა და 46.6 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 13.8%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 5.1%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.8%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 20.2% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 19.7% - მშენებლობის, 18.3% - მრეწველობის, 13.5% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.4% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



იანვარ-აგვისტოში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი. კერძოდ, საქონლის ექსპორტმა 14.4%-ით, ხოლო იმპორტმა 17.8%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 16.8%-ით გაიზარდა და 14,005 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.1%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (949%-ით, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის მატების გამო), აგრეთვე ყაზახეთში (236%-ით), ესპანეთში (150%-ით), სომხეთში (83%-ით), აზერბაიჯანში (35%-ით) და სხვა.
საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა მსუბუქი ავტომობილების (178.1%-ით), მინერალური და დაგაზიანებული შაქრის დანამატებით წყლების (49.3%-ით), სპირტიანი სასმელების (40.0%-ით), მინერალური წყლის (33.2%-ით) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (69.1%-ით), აზოტოვანი სასუქების (41.2%-ით), სპილენძის მადნების (39.8%-ით) საზღვარგარეთ გატანა.





აგვისტოში* ფულადი გზავნილები შემცირდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის აგვისტოში* საქართველოში ფულადი გზავნილები 14.1%-ით შემცირდა და 287.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 39.5%) და რუსეთი (21.0%) წარმოადგენენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა: იორდანიიდან (593.0%-ით), ირლანდიიდან (118.2%-ით), ყაზახეთიდან (54.9%-ით), აშშ-დან (37.6%-ით), გერმანიიდან (33.5%-ით), იტალიიდან (23.0%-ით), საფრანგეთიდან (21.4%-ით) და სხვა. ამავე პერიოდში რუსეთიდან ფულადი გზავნილების ჩარიცხვა 45.6%-ით შემცირდა.



სექტემბერში საერთაშორისო რეზერვებმა 5,273 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2023 წლის სექტემბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,273 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 22.3%-ით მეტია, წინა თვესთან მიმართებით კი 3.0%-ით ნაკლები.

2023 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 64.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.



3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

აგვისტოში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა კლების ტენდენციით ხასიათდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის აგვისტოში* სარეზერვო ფულის მასა 0.4%-ით შემცირდა. ფულის M2 აგრეგატმა 30.8%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 10.4%-ს გაუტოლდა. სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.7% შეადგინა.





აგვისტოში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე შემცირდა.

აგვისტოში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.93%-ული პუნქტით შემცირდა და 47.8%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი 0.60%-ული პუნქტით მოიკლო და 44.7% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, აგვისტოს თვეში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 1.3%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2.4%-ით შემცირდა.





აგვისტოში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.8%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.2%-ული პუნქტით გაიზარდა.

აგვისტოში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.7% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 8.9%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) აგვისტოს* მდგომარეობით 4.8% შეადგინა, 0.63%-ული პუნქტით ნაკლები წინა წლის აგვისტოსთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2023 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 0.25%-ული პუნქტით შემცირდა და 10.0% შეადგინა.

სექტემბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ გაუფასურების, ევროს მიმართ კი გამყარების ტენდენციას ავლენს.

სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.9%-ით გაუფასურდა, ევროს მიმართ 1.1%-ით გამყარდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 0.8%-ით გაუფასურდა. ამ პერიოდში მცირედით გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, სექტემბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 7.7%-ით გამყარდა, ევროს მიმართ უმნიშვნელოდ (0.01%-ით) გაუფასურდა, თურქულ~~ი~~ ლირასთან მიმართებით კი 58.8%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.



4. რეგიონული მიმოხილვა

სექტემბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.
კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 61.5% შეადგინა, შედარებით დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (0.1%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის აგვისტოს* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 8.0%-ით, ხოლო რუსეთში 5.2%-ით გაიზარდა.

წლიური ინფლაცია, სექტემბერი



გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება
სექტემბერი, 2023



სექტემბერში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.
კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სექტემბერში აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა სომხური დრამი (5.7%-ით), ხოლო გაუფასურდა რუსული რუბლი (37.9%-ით), თურქული ლირა (32.2%-ით), აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

ცხრილი N1. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

		სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იან 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	8.8	8.3	9.3	11.0	8.4	5.8	7.3	7.5	7.0	7.7	5.5	5.8	
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	19.5	14.8	16.7	16.6	18.8	11.7	9.2	6.1	5.2	6.1	2.9	4.2	
მონეტარული სექტორი	ინფლაცია (%)	11.5	10.6	10.4	9.8	9.4	8.1	5.3	2.7	1.5	0.6	0.3	0.9	0.7
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	11.0	10.5	10.5	10.5	10.25	10.0
	დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.6	0.6	0.6	0.6	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	0.5	
	სესხების დოლარიზაცია (%)	0.5	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.5	0.5	0.4	
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი (ლარი)	2.9	2.8	2.7	2.7	2.7	2.6	2.6	2.5	2.5	2.6	2.6	2.6	2.6
	გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	387,177.7	501,998.8	521,164.6	535,251.1	444,964.0	372,328.3	438,392.2	369,709.2	384,885.8	353,170.7	301,068.1	287,005.6	
	ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	523.5	448.7	490.7	555.8	459.0	455.8	546.7	500.5	541.4	550.4	529.8	495.8	
	იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,136.5	1,203.9	1,310.9	1,469.3	1,114.8	1,067.4	1,378.0	1,222.7	1,326.8	1,337.2	1,204.8	1,274.0	
	სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-612.9	-755.2	-820.2	-913.5	-655.9	-611.6	-831.3	-722.1	-785.4	-786.7	-675.0	-778.3	
	საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,313.1	4,385.6	4,636.7	4,900.6	4,899.3	4,720.2	5,003.8	5,133.4	5,005.3	5,066.7	5,436.1	5,436.8	5,273.2
ფისკალური სექტორი	შემოსავლები (მლნ ლარი)	1,680.6	1,688.4	1,898.4	2,151.6	1,858.0	1,555.1	1,656.6	2,165.0	1,755.9	1,877.8	1,846.9	1,721.5	
	მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,312.9	1,296.9	1,561.6	2,090.5	1,357.0	1,422.1	1,450.0	1,496.7	1,568.9	1,441.2	1,901.2	1,269.0	
	კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	624.5	148.0	600.3	1,054.5	185.9	313.1	317.4	414.1	400.6	495.8	365.4	659.1	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ცხრილი N2[2]. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

ცხრილი N3. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

		სექ 22	ოქტ 22	ნოე 22	დეკ 22	იანვ 23	თებ 23	მარ 23	აპრ 23	მაისი 23	ივნ 23	ივლ 23	აგვ 23	სექ 23
რეალური სექტორი	მშპ-ს ზრდის ტემპი													
	დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი													
მონეტარული სექტორი	ინფლაცია													
	მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი													
	დეპოზიტების დოლარიზაცია													
	სესხების დოლარიზაცია													
საგარეო სექტორი	გაცვლითი კურსი													
	გზავნილები													
	ექსპორტი													
	იმპორტი													
	სავაჭრო ბალანსი													
	საერთაშორისო რეზერვები													
ფისკალური სექტორი	შემოსავლები													
	მიმდინარე ხარჯები													
	კაპიტალური ხარჯები													

[2] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.